სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლი“

ანგარიში
2023 წლის საგადასახადო
ანგარიშგების ანალიზის შედეგებზე

აპრილი, 2024

შინაარსი

ანგარიში 3
საგადასახადო კანონმდებლობასთან შეუსაბამობის გამოვლენილი ფაქტების დეტალები 6
1. 2023 წლის მოგების გადასახადის გაანგარიშების სისწორე 6
2. 2023 წლის ქონების გადასახადის გაანგარიშების სისწორე 6
3. 2023 წლის გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციებით წარდგენილი გაანგარიშებების სისწორე 6
4. 2023 წლის დღგ-ის დეკლარაციებით წარდგენილი გაანგარიშებების სისწორე 6

MOORE

MOORE abc, LLC
2, Davit Gamrekeli Street,
0160, Tbilisi, Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moore.ge

www.moore-georgia.ge

აუდიტორთა ანგარიში ორგანიზაციის საგადასახადო ანგარიშგების ანალიზის შედეგებზე

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“
ხელმძღვანელობას

1. განსახილველი საკითხი

ჩვენ ჩავატარეთ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, შემდგომში „ორგანიზაცია“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 204858163, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, .მერაბ კოსტავას ქ. N68) 2023 წლის საგადასახადო ანგარიშგების შემოწმება (დიუ დილიჯენსი).

„ორგანიზაციის“ საგადასახადო ანგარიშგებაში იგულისხმება ყველა იმ გადასახადის შესაბამისად წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციები და გაანგარიშებები, რომლებიც შესაბამისი პერიოდებისათვის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით შესაფერისი იყო ორგანიზაციისათვის. კონკრეტულად ჩვენს მიერ შემოწმებული საგადასახადო ანგარიშგება მოიცავს:

ა) „ორგანიზაციის“ 2023 წლის ყოველთვიური მოგების გადასახადის დეკლარაციები;
ბ) „ორგანიზაციის“ 2023 წლის ქონების გადასახადის დეკლარაცია;
გ) „ორგანიზაციის“ 2023 წლის გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციები;
დ) „ორგანიზაციის“ 2023 წლის დღგ-ს დეკლარაციები.

2. ანალიზისათვის გამოყენებული კრიტერიუმები

„ორგანიზაციის“ საგადასახადო ანგარიშგების ანალიზისათვის ანგარიშგების სისწორის კრიტერიუმები არის სსკ-ის და შემოსავლების სამსახურის სიტუაციური სახელმძღვანელოების მოთხოვნები. კონკრეტულად „ორგანიზაციის“ საგადასახადო ანგარიშგების სისწორე ნიშნავს, რომ:

ა) „ორგანიზაციის“ მიერ სწორად ხდება ყველა იმ გადასახადის განსაზღვრა, რომლის გადახდაც „კომპანიას“ ევალება შესაბამისი პერიოდისათვის მოქმედი სსკ-ს შესაბამისად;
ბ) „ორგანიზაციის“ მიერ მისთვის შესაფერისი გადასახადების გაანგარიშებისას საგადასახადო ბაზების განსაზღვრა ხდება შესაბამისი პერიოდისათვის მოქმედი სსკ-ს შესაბამისად;
გ) „ორგანიზაციის“ მიერ მისთვის შესაფერისი გადასახადების გაანგარიშებისას გადასახადის განაკვეთის შერჩევა ხდება შესაბამისი პერიოდისათვის მოქმედი სსკ-ს შესაბამისად;
დ) „ორგანიზაციის“ მიერ მისთვის შესაფერისი გადასახადების მიხედვით დროულად და სწორად ხდება დეკლარაციების და სხვა ინფორმაციის წარდგენა სსკ-ის შესაბამისად.

3. „ორგანიზაციის“ მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

„ორგანიზაციის“ საგადასახადო ანგარიშგების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოებასა და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია „ორგანიზაციის“ ხელმძღვანელობა. მენეჯმენტის პასუხისმგებლობა მოიცავს:

ა) შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც უზრუნველყოფს ისეთი საგადასახადო ანგარიშგების წარმოებას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად;
ბ) შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკების და მეთოდების შერჩევას და მათ მიზანმიმართულად გამოყენებას;
გ) სიტუაციისათვის შესაბამისი საბუღალტრო შეფასებების გაკეთებას და საკანონმდებლო მოთხოვნების სწორ ინტერპრეტაციას სსკ-ის მიხედვით გადასახადებით დასაბეგრი ბაზებისა და საგადასახადო ვალდებულებების თუ მოთხოვნების განსაზღვრისათვის.

„ორგანიზაციის“ მენეჯმენტია აგრეთვე პასუხისმგებელი ჩვენს მიერ ჩატარებულ ანალიზთან დაკავშირებით მოთხოვნილი ინფორმაციის სრულად და დროულად წარმოდგენაზე.

4. ჩვენი პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩავატაროთ ორგანიზაციის საგადასახადო ანგარიშგების ანალიზი და წარმოვადგინოთ ჩვენი აღმოჩენები პოტენციურ საგადასახადო ვალდებულებებთან მიმართებაში.

ჩვენი ანგარიში ემსახურება მხოლოდ იმ მიზანს, რაზეც საუბარია ჩვენი პასუხისმგებლობის პირველ აბზაცში და განკუთვნილია თქვენი ინფორმირებისათვის.

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

ამასთან ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი ორგანიზაციის და მასთან სამეურნეო ოპერაციებში მონაწილე საწარმოთა დოკუმენტების წარმომავლობაზე და იმ ინფორმაციაზე, რომელიც არ იქნა წარმოდგენილი ან/და არ იყო ბუღალტრულად აღრიცხული ორგანიზაციის მიერ ამ ანგარიშის მომზადებამდე და რომლის გათვალისწინებაც შესაბამისად შეუძლებელი იყო სამუშაოს შესრულებისას, ანუ საგადასახადო პერიოდის მიხედვით გადასახადებით დაბეგვრის ობიექტების განსაზღვრისათვის.

5. შესრულებული სამუშაოს მოკლე მიმოხილვა

ჩვენს მიერ დათვლილი და ამ ანგარიშში წარმოდგენილი დამატებით გადასახდელი გადასახადების თანხები არის ჩვენი შეფასება, რომელიც მიღებულია „ორგანიზაციის“ მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე და ამ ინფორმაციის ანალიზზე სსკ-ის დებულებებზე დაყრდნობით.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მომზადებულია „ორგანიზაციის“ ბუღალტრული ჩანაწერების, წარმოდგენილი საგადასახადო დეკლარაციების და „ორგანიზაციის“ მენეჯმენტისა და ფინანსური პერსონალისაგან მოპოვებული ახსნა-განმარტებების ანალიზის საფუძველზე.

გარიგების ფარგლებში ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი პროცედურები:

(a) შევისწავლეთ „ორგანიზაციის“ საქმიანობა ზოგადად იმ მიზნით, რომ გავრკვეულიყავით მის ოპერაციებში და გავაანალიზეთ რა სახის გადასახადები იყო შესაბამისი ამ კონკრეტული „ორგანიზაციისათვის“ მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შემოწმებულ პერიოდში;

(b) მოვითხოვეთ შესამოწმებელი პერიოდის განმავლობაში წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციები და დავრწმუნდით, რომ დეკლარაციები რეალურად იქნა ჩაბარებული საგადასახადო ორგანოებისათვის;

(c) იმ მიზნით, რათა „ორგანიზაციის“-გან მიგვეღო ინფორმაცია შესაძლო ყველაზე კრიტიკულ საგადასახადო დაბეგვრის საკითხებზე გავესაუბრეთ „ორგანიზაციის“ მენეჯმენტს და მათგან მივიღეთ ინფორმაცია მათი შეფასებით ყველაზე კრიტიკულ საგადასახადო საკითხებზე;

(d) თითოეული გადასახადისათვის გადავხედეთ შესაბამის საბუღალტრო ჩანაწერებს, რათა გაგვერკვია, როგორ ახდენს „ორგანიზაცია“ დასაბეგრი ბაზების განსაზღვრას და აღრიცხვას და შევაფასეთ რამდენად სწორია დაბეგვრის ობიექტის და დასაბეგრი თანხის განსაზღვრის მიღებული მეთოდები;

(e) „ორგანიზაციის“ მიერ გამოყენებული საგადასახადო განაკვეთები ყველა შესაბამისი გადასახადისათვის შევუდარეთ შესაბამის პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს;

(f) გავეცანით „ორგანიზაციის“ მიერ გამოყენებულ შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების მეთოდებს და გავაანალიზეთ მათი შესაბამისობა მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობასთან;

(g) ჩანაწერების გადახედვის გზით შევამოწმეთ, ახდენს თუ არა „ორგანიზაცია“ ყველა შესაფერისი გადასახადის დაკავებას გადასახდელი თანხებიდან;

(h) გადავიანგარიშეთ გადასახადები და შევუდარეთ „ორგანიზაციის“ მიერ წარდგენილი დეკლარაციების მონაცემებს. სადაც შესაფერისი იყო დავითვალეთ დამატებით გადასახდელი ან ზედმეტად დეკლარირებული გადასახადები.

გარიგების ფარგლებში ჩვენ არ ჩაგვიტარებია შემდეგ პროცედურები:

a) მარაგების ან ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია;

b) ქრონომეტრაჟი;

c) საკონტროლო შესყიდვები ან მსგავსი პროცედურები.

6. დასკვნის შემადგენელი დამატებითი ინფორმაცია

წარმოდგენილ დოკუმენტში ამ ანგარიშთან ერთად მე-6 გვერდზე მოცემულია საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამობის ფაქტების დეტალების აღწერა. აღნიშნულ გვერდზე მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს ჩვენი ანგარიშის განუყოფელ ნაწილს და დოკუმენტი ერთობლივად, მთლიანობაში უნდა იქნას აღქმული და გათვალისწინებული.

ედუარდი აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი
ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-316971

თბილისი, საქართველო
თარიღი: 19 აპრილი, 2024 წელი

საგადასახადო კანონმდებლობასთან შეუსაბამობის გამოვლენილი ფაქტების დეტალები

1. 2023 წლის მოგების გადასახადის გაანგარიშების სისწორე

2023 წელს წარდგენილი მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციების სისწორის შემოწმებით საგადასახადო კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ფაქტები არ ფიქსირდება.

2. 2023 წლის ქონების გადასახადის გაანგარიშების სისწორე

თუ ორგანიზაცია ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მისი ქონებისა და საქმიანობის ნაწილი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მის ეკონომიკურ საქმიანობასთან, ითვლება საწარმოს ქონებად და საქმიანობად, ხოლო იმ ნაწილში, სადაც ამის გამიჯვნა შეუძლებელია, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ქონებისა და საქმიანობის გამოანგარიშების მიზნით გამოიყენება ორგანიზაციის მიერ მიღებულ შემოსავალში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის ხვედრითი წილი. (სსკ-ი მუხლი N30-4)

ორგანიზაციას ქონების გადასახადი გაანგარიშებული აქვს ხვედრითი წილის შესაბამისად და შემოწმებით საგადასახადო კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ფაქტები არ ფიქსირდება.

3. 2023 წლის გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციებით წარდგენილი გაანგარიშებების სისწორე

გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციებით წარდგენილი გაანგარიშებების (დასაქმებულები, არარეზიდენტები) სისწორე შემოწმებით ორგანიზაციაში 2023 წელს საგადასახადო კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ფაქტები არ ფიქსირდება.

4. 2023 წლის დღგ-ის დეკლარაციებით წარდგენილი გაანგარიშებების სისწორე

2023 წელს წარდგენილი დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციების სისწორის შემოწმებით საგადასახადო კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ფაქტები არ ფიქსირდება.

**** * დოკუმენტის დასასრული * ****